შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა 25/1

ქ. თბილისი 13 აგვისტო 2013წ.

ერთის მხრივ, შპს "ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" შემდგომში - „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის მინდია კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ლუკოილ ჯორჯია" შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ქათამაძის სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2013 წლის 21 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კონსოლიდირებული ტენდერის №25 ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველს 2013 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან საგადასახადო ანგარიშფაქტურების მიხედვით ათვისებული აქვს 93 410 ლარი, ხოლო დარჩენილი ნაშთი შეადგენს 3 090 ლარს.
2. შევიდეს ცვლილება, მხარეთა შორის 2013 წლის 21 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კონსოლიდირებული ტენდერის №25 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტში, მითითებულ საორიენტაციო ღირებულებას 96 500 ლარს დაემატოს 78 600 ლარი და იგი განისაზღვროს 175 100 (ასსამოცდათხუთმეტი ათას ასი) ლარით.
3. შევიდეს ცვლილება 2013 წლის 21 იანვარს გაფორმებული №25 ხელშეკრულების დანართ #1-ში და 2013 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით არსებული ნაშთის მიხედვით იგი ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული ფორმით.
4. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები და პუნქტები დარჩეს უცვლელად.
5. წინამდებრე შეთანხმება ძალაშია 2013 წლის 1 აგვისტოდან.
6. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს 2013 წლის 21 იანვარს გაფორმებული №25 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს "ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"	შპს „ლუკოილ ჯორჯია"
ს.კ 245426490	ს.კ 204976302
დირექტორი	დირექტორი
მ. კახიძე	ზ. ქათამაძე

შენიშვნა:

1. წინამდებარე დანართში საორიენტაციო ღირებულება განისაზღვრება შეთანხმების 1 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ნაშთს დამატებული გასაზრდელი ღირებულება;
2. საორიენტაციო რაოდენობა განისაზღვრება - საერთო ღირებულება გაყოფილი მიმდინარე თვის შესაბამისი პროდუქტის ერთეულის ფასზე.

დანართი №1 (2013 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით)

2013 წლის "21 იანვარი" № 25 ხელშეკრულებაზე

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი)	ერთეულის ფასი (ლარი)	დარჩენილი საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელის (PPM 50-ზე ნაკლები) საწვავი	არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები)	43 452 ლიტრი	1,88ლარი	81 690	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	1.08.2013-დან 31.12.2013-მდე

შემსყიდველი:

შპს "ბათუმის სასწრაფო
სამედიცინო დახმარების ცენტრი"
ს.კ 245426490

დირექტორი

მ. კანიძე

მიმწოდებელი:

შპს „ლუკოილ ჯორჯია"
ს.კ 204976302

დირექტორი

ზ. ქათამაძე